

ბანკის ვებგვერდზე <https://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/card-payments> განთავსებული “პოს ტერმინალით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ძირითადი პირობების” 1.3. პუნქტის შესაბამისად, სს “თიბისი ბანკი” გთავაზობთ “პოს ტერმინალით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების საერთო დებულებებში” (შემდგომში “საერთო დებულებები”) შემდეგი ცვლილებების / დამატებების შეტანას:

**შეიცვალოს საერთო დებულებების მე-2 მუხლის 2.1.1.3 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2.1.1.3. გადასცეს კომპანიას სარგებლობაში პოს ტერმინალი.“

**შეიცვალოს საერთო დებულებების მე-2 მუხლის 2.2.1.33 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2.2.1.33 ტერმინალის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, ბანკს უფლება აქვს მოსთხოვოს კომპანიას, ხოლო ამგვარი მოთხოვნის არსებობისას კომპანია ვალდებულია გადაუხადოს ბანკს 1 000 (ერთი ათასი) ლარი (თითოეული ტერმინალისთვის).“

**ხელშეკრულების საერთო დებულებებს დაემატოს მე-8 მუხლი შემდეგი რედაქციით:**

„8. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება

8.1. კომპანიას შეუძლია ისარგებლოს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებით, ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე, ამ ხელშეკრულების დადებიდან/მიწოდებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.

8.2. კომპანიამ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების დასაფიქსირებლად ბანკს უნდა მიმართოს შესაბამისი განაცხადით/შეტყობინებით, რომელიც სავალდებულო წესით უნდა შეიცავდეს მითითებას რომელ ხელშეკრულებაზე იყენებს კომპანია ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას. ხსენებული განაცხადის/შეტყობინების დაფიქსირება კომპანიას შეუძლია როგორც მატერიალური (წერილობითი) ფორმით (ბანკის ნებისმიერ ფილიალში/სერვისცენტრში), ასევე დისტანციური არხ(ებ)ით (სატელეფონო სერვისცენტრში დაკავშირებით (+99532 2 272727), ინტერნეტ-ბანკით, მობილური ბანკით).

8.3. კომპანიის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენებისას, ბანკი უფლებამოსილია კომპანიას დააკისროს, ხოლო კომპანია ვალდებულია ბანკის ამგვარი მოთხოვნის შემთხვევაში გადაიხადოს კომპანიის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენებამდე ბანკის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ხარჯ(ებ)ი / მომსახურებით სარგებლობასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადასახდელი (გარდა იმ გადასახდელებისა, რომელთა მიმღებია მესამე პირი (ადმინისტრაციული ორგანო, ნოტარიუსი და სხვა)), მომსახურებით სარგებლობის პერიოდის პროპორციულად.

8.4. კომპანია ვალდებულია ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ განაცხადის/შეტყობინების დაფიქსირებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში დაუბრუნოს ბანკს მიღებული თანხა/ქონება, რომელიც სარგებლობაში/საკუთრებაში გადაეცა დისტანციური საბანკო პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობის ფარგლებში.

8.5. ბანკი ვალდებულია დაუბრუნოს კომპანიას მის მიერ დისტანციური საბანკო პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობისთვის გადახდილი ნებისმიერი თანხა სრულად (8.3 პუნქტით გათვალისწინებული ხარჯ(ებ)ის გამოკლებით) კომპანიის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ განაცხადის/შეტყობინების დაფიქსირებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში. ამასთან, თუ კომპანია 8.4 პუნქტით განსაზღვრულ ვალდებულებას შეასრულებს ხსენებული პუნქტით განსაზღვრული ვადის ბოლო დღეს და აღნიშნულის გამო ბანკი შესაძლოა აღმოჩნდეს წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის რისკის წინაშე, ბანკს უფლება აქვს მისგან დამოუკიდებელი (ობიექტური) გარემოების გათვალისწინებით, ვალდებულება

შეასრულოს წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდგომ (გონივრულ ვადაში).  
8.6. მხარეთა მიერ 8.4 და 8.5. პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და  
ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, ხელშეკრულება ითვლება შეწყვეტილად.“